ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში

ზუგდიდი. 19 მაისი 2014 წ.

სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა N 156

,,სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლება-მოვალეობებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის 2014 წლის 28 თებერვლის N102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27^{1}–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, 27^{11}–ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N308 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების I თავის მე–5 მუხლის ,,რ“ პუნქტის, მე–6 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის და ,,ხვიჩა ჟიშკარიანის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის 2014 წლის 14 მაისის N149 განკარგულების შესაბამისად:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ,,სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლება-მოვალეობებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის 2014 წლის 28 თებერვლის N102 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

   ა) განკარგულების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს შორის გადანაწილდეს უფლება-მოვალეობები და განისაზღვროს საქმიანობის წესი ადმინისტრაციის შემდეგი სტრუქტურული ერთეულების მიხედვით:

ა) კობა ქანთარია - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველი მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი:

ა.ა) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის არყოფნისას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;

ა.ბ) კოორდინაციას უწევს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურების საქმიანობას;

ა.გ) დელეგირების საფუძველზე მიენიჭოს ხელისმოწერის უფლება-მოსილება სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის სახელით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გასაფორმებელ ხელშეკრულებებზე, აგრეთვე ხელშეკრულებებზე, რომლებზეც არ ვრცელდება აღნიშნული კანონის მოქმედება და სხვადასხვა ფინანსურ და სამეურნეო საკითხებთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე;

ა.დ) დელეგირების საფუძველზე მიენიჭოს ხელისმოწერის უფლება-მოსილება

2100. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი N45. ტელ.: 0 (415) 25 00 04, ფაქსი: 0 (415) 25 05 05.

,,ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-10 მუხლის თანახმად, სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობისათვის არაკომერციული მიზნით პირადი მოხმარებისათვის I ხარისხის ხის მერქნული რესურსის (სოციალური ჭრა) მოცულობის განსაზღვრა და გაცემა ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით და შესაბამისი სიის წარდგენა მართვის ორგანოსათვის (სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო).

გ) დათო სარსანია - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი:

გ.ა) კოორდინაციას უწევს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობას;

გ.ბ) დელეგირების საფუძველზე კომპეტენციის ფარგლებში უზღუნველყოს საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო უწყებების ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან;

გ.გ) დელეგირების საფუძველზე განახორციელოს კოორდინაცია და კონტროლი შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების აღსრულების თაობაზე;

გ.დ) დელეგირების საფუძველზე განახორციელოს სახელმწიფო ზედამხედველობა და მონიტორინგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და ,,სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად გასატარებელ ღონისძიებებზე.

2. განკარგულება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისრტრაციული კოდექსის“ 54–ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაიცული კოდექსის“ 180–ე მუხლის I ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამაართლოში, მის. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ. N12.

ლევან შონია
სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი